**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2026 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.**

**საანგარიშო პერიოდი 2026 წლის იანვარი - 2026 წლის ნოემბერი.**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღება. საკრებულო აქტიურად მუშაობს როგორც ბიუჯეტის, ასევე მუნიციპალიტეტის განვითარების სხვადასხვა პროგრამების მიმართულებით. ჩვენი მთავარი ამოცანა არის თითოეული გადაწყვეტილება ემსახურებოდეს მოსახლეობის ინტერესებს და მუნიციპალიტეტის წინსვლას.

წყალტუბო უნიკალური შესაძლებლობების მქონე მუნიციპალიტეტია, ცნობილია თავისი ისტორიული მნიშვნელობით, სამკურნალო წყლებითა და ტურისტული პოტენციალით. ყურადღება ეთმობა სოფლის განვითარებას, ჩვენი მიზანია სოფელში მცხოვრებმა ადამიანებმა იგრძნოს ადგილობრივი ხელისუფლების გვერდით დგომა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 48 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი და 47 სოფელი. ადმინისტაციულ - ტერიტორიული ერთეულებია:

1 ქალაქი - წყალტუბო.

12 თემი - გვიშტიბი, გუმბრა, დღნორისა, მაღლაკი, მექვენა, მუხიანი, ოფურჩხეთი, პატრიკეთი, რიონი, ქვიტირი, წყალტუბო, ცხუნკური.

4 სოფელი - გეგუთი, ოფშკვითი, საყულია, ფარცხანაყანევი.

**1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მე-7 მოწვევის საკრებულო (2025-2028)**

2026წ. საკრებულოს მიერ მიღებულია:

განკარგულება - 106

დადგენილება - 33

თავმჯდომარის ბრძანება - 72

სულ ჩატარებულია 14 სხდომა, აქედან 10 რიგითი და 4 რიგგარეშე

საკრებულოს წევრები სულ 34
ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო 30
ხალხის ძალა 3
ძლიერი საქართველო-ლელო - 1

**5 კომისია:**

1. იურიდიულ საკითხთა კომისია

2. კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ

საქმეთა კომისია

3. საფინანსო–საბიუჯეტო კომისია

4. ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისია

5. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია

**2 ფრაქცია:**

1. "ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო"
2. ''ხალხის ძალა"

მოგეხსენებათ ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" წევრი, მიმდინარე წელს ჩატარებულია 4 სხდომა

5 თებერვალი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" - ს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

28 აპრილი

მერიის სოციალური პროგრამების განხორციელების მიმდინარეობისა და ეფექტიანობის განხილვის შესახებ.

2 ივლისი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - ს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

17 სექტემბერი

„ინფორმაცია წყალტუბოში ტურისტული სეზონის აქტივობების, მუნიციპალიტეტში ტურუსტული ნაკადების დინამიკისა და სამომავლო სტრატეგიული გეგმების შესახებ“

განათლება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 39 საჯარო სკოლაში ახალი სასწავლო წლიდან სწავლა 350-მა პირველკლასელმა დაიწყო. ქალაქის N1, N2, N3,N4 და სოფელ ბანოჯის საჯარო სკოლებში პირველკლასელებს ნოუთბუქები გადავეცით.
ა(ა)იპ „წყალტუბოს საბავშვო ბაღების გაერთიანება“ 25 საბავშვო ბაღს აერთიანებს, რომლებშიც 1 200 აღსაზრდელი იღებს სკოლამდელ განათლებას წყალტუბოში საჯარო სკოლების კურსდამთავრებულთა ღონისძიება „ბოლო ზარი 2026“ გაიმართა. სკოლის დამთავრება მივულოცეთ მეთორმეტეკლასელებს.

ყველა საჯარო და კერძო სკოლაში სახელმწიფო დროშა აღიმართა და სახელმწიფო ჰიმნი გაჟღერდა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ჩართული იყო პრემიერ მინისტრის მიერ გამოცხადებულ ანაზღაურებადი სტაჟირების, სახელმწიფო 3 თვიან პროგრამაში.

ამ ეტაპზე გვყავს 3 სტაჟიორი:
1. სტაჟიორი იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილებაში.

2. სტაჟიორი საორგანიზაციო,საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში.
3. სტაჟიორი ლოჯისტიკის განყოფილებაში.

2026 წლის გაზაფხულზე ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა მუნიციპალიტეტის 5 საჯარო სკოლაში.

მათ შორის : სოფელ ბანოჯის საჯარო სკოლაში განხორციელდა კომპლექსური სარეაბილიტაციო სამუშაოები: გადაიხურა შენობა, შეიღება ფასადი, დაიგო იატაკი და დამონტაჟდა გათბობის სისტემა. სრულად მოწესრიგდა საკლასო ოთახები, დერეფნები და სხვა სივრცეები.

სოფელ გვიშტიბის საჯარო სკოლაში სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა შენობის მარჯვენა ნაწილს.

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, ნაწილობრივი რეაბილიტაციის პროექტები განხორციელდა ასევე სოფელ გეგუთის N2, სოფელ სორმონის და ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლასთან არსებული მეორე უბნის დაწყებით სკოლებში.

ამასთან, დაგეგმილია 9 საჯარო სკოლის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება, რომლის ჯამური ღირებულება დაახლოებით 1.2 მილიონ ლარს შეადგენს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

დასრულებულია ქვიტირის საჯარო სკოლის რეაბილიტაციის ტენდერი და მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები.

სასწავლო სააღმზრდელო პროცესი მიმდინარეობს 23 საბავშვო ბაღში.

ფუნქციონირებს 24 ბიბლიოთეკა, სასოფლო ბილიოთეკების უმრავლესობა უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკით.

## ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა

2026 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შეადგენს 38 000 000 ლარს, აქედან სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დასაფინანსებლად გამოყოფილი იქნა 4 231 000 რაც წინა წელთან შედარებით 136.700 ლარით გაიზარდა.

2026 წლის ბიუჯეტიდან ფინასდება 13 ძირითადი და 35 ქვეპროგრამ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება, მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯები,ერთჯერადი ფულადი დახმარება,დედ-მამით ობოლ ბავშვთა დახმარება,სპეციალიზირებულ დაწესებულებიდან (მათ შორის,მინდობით აღზრდიდან) ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან/მზრუნველთან საცხოვრებლად დაბრუნებული ბავშვების ფინანსური დახმარება, სადღესასწაულო დღეებში ფინანსური დახმარება,

სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება,სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარება,სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შეძენა.

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების პარალელურად, მუნიციპალიტეტი აგრძელებს საკოორდინაციო ჯანდაცვის ცენტრის, სათნოების სახლისა და ინკლუზიური ცენტრის მხარდაჭერას.

მუნიციპალიტეტი აგრძელებს უსახლკარო სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობას. 2025 წელს საცხოვრებელი სახლი გადაეცა 7 ოჯახს, მ/წ დაგეგმილია 5 ოჯახისთვის სახლის აშენება.

ახალ პროგრამას მიემატა რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით, ინვიტრო განაყოფიერების პროცედურების დაფინანსება 3000 ლარამდე განისაზღვრა.

## მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელებული პროექტები

მოსახლეობასთან შეხვედრების დროს მათი ინტერესებიდან გამომდინარე იგეგმება და ხორციელდება უბნებში განსახორციელებელი პროექტები, ვსაუბრობთ სამომავლო გეგმებზე და

მათ საჭიროებებზე.
ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში მოსახლეობას აქვს შესაძლებლობა თავად გადაწყვიტოს რომელი პრობლემის მოგვარებაა უფრო მნიშვნელოვანი და მოგვმართოს განცხადებით, ამ შემთხვევაში ბიუჯეტიდან 85 %, ხოლო დანარჩენი 15% ამხანაგობების ანგარიშიდან ფინანსდება.
მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროგრამის ფარგლებში, ასევე ფინანსდება სახურავებისა და სადარბაზოების სარეაბილიტაციო სამუშაოები.
დაწყებულია სოფლის მხარდაჭერი პროგრამები, სულ 48 სოფელია და 6 სამუშაო ჯგუფი ჩაერთო. ადგილობრივი მოსახლეობა სოფლის კრებებზე კენჭისყრის პრინციპით თავად წყვეტს სოფლის საჭიროებებსა და პრიორიტეტებს.

## ინფრასტრუქტურული პროექტები

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა.
ქალაქ წყალტუბოში ნინოშვილის, ავალიანის და წერეთლის ქუჩებზე სანიაღვრე არხის სამუშაოები მოეწყო.
სოფელ რიონში, სოფელ საყულიაში, სოფელ ჟონეთში და სოფელ გუმბრაში მოსაცდელების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. ასევე, დასრულდა დაზიანებული გზების შეკეთება სოფელ ოფშკვითში.
პროექტის ფარგლებში განხორციელდა სანიაღვრე არხებისა და ხიდ-ბოგირების აღდგენა, რის შედეგად მოგვარდა უხვი ნალექის დროს საკარმიდამო ნაკვეთებისა და მიმდებარე ტერიტორიების დატბორვის პრობლემა.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და ქ. წყალტუბოში მუსიკალური სკოლის შენობისა და სოფ. საყულიის კლუბის სამუშაოები, ღირებულებით 1 117 602 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით 2025 წელს დაიწყო და 2026 წელს დასრულდა სოფ. ზედა ქვილიშორში, სოფ. ყუმისთავში და გუმბრაში სასმელი წყლის ქსელის სამუშაოები, ჯამური ღირებულებით 899 978 ლარი.

სხვადასხვა ლოკაციაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა სპორტული მოედნების მოწყობის, სკვერების და საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობის სამუშაოები ღირებულებით 1 764 962 ლარი.

2026 წელს ინფრასტუქტურის მოწყობა - რეაბილიტაცია, როგორც ადგილობრივი ასევე სახელმწიფო წილის ბიუჯეტის გათვალისწინებით შეადგენს 12 916 373 ლარს.

## მოსახლეობასთან შეხვედრები

მოსახლეობასთან დაგეგმილი შეხვედრები, როგორც ქალაქის ასევე სოფლის მაცხოვრებლებთან. განვიხილეთ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები და გავეცანით სამომავლო გეგმებს. აქტიური შეხვედრა გვქონდა ბესიკის ქუჩა N4-ში მცხოვრებ მოსახლეობასთან ლიფტების რეაბილიტაციის პროექტი მუნიციპალიტეტის მერის, გენადი ბალანჩივაძის ინიციატივით განხორციელდა. სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან სრულად, 100%-ით დაფინანსდა.
პროექტის ფარგლებში ძველი ლიფტების დემონტაჟი და თანამედროვე ტიპის ახალი ლიფტების მონტაჟი განხორციელდა. სამუშაოები შესრულდა ჩოლოყაშვილის ქუჩა N1-ში, ბესიკის ქუჩა N4-ში, თბილისის ქუჩა N1-სა და გურამიშვილის ქუჩა N2-ში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებში. პროექტის საერთო ღირებულება 1 მილიონ ლარამდეა.
მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროგრამის ფარგლებში, ასევე

ფინანსდება სახურავებისა და სადარბაზოების სარეაბილიტაციო სამუშაოები.
აქტიური შეხვედრა გვქონდა სოფლების მოსახლეობასთან: ქვიტირი, მუხიანი, მესხეთი, მაღლაკი, ფარცხანაყანევი და სხვა მაღალმთიანი სოფლები, რომლებიც აქტიურად იყო ჩართული დაგეგმილ შეხვედრებში. ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ვიმსჯელეთ სოფლებში არსებულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე.

## მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელებული ღონისძიებები

21მარტი დაუნის სინდრომის მსოფლიო საერთაშორისო დღეა - „ჩვენთან ერთად და არა ჩვენთვის“ მ/წ ამ გზავნილით ვესტუმრეთ მუნიციპალიტეტის „ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრს“
37 წელი გავიდა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიიდან, პატივი მივაგეთ 9 აპრილს დაღუპული გმირების ხსოვნას.
მუზეუმების საერთაშორისო დღე, რომელიც 1977 წლიდან აღინიშნება, გაიმართა „წყალტუბო: წარსული, აწყმო და მომავალი ფოტოალბომის პრეზენტაცია.
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი ეროვნული სამოსის დღეს შეუერთდა. ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა ადგილობრივმა მოსახლეობამ საქართველოს დროშებით მსვლელობა მოაწყვეს.
9 მაისი პატივი მივაგეთ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას.
26 მაისი ეროვნული დღესასწაული, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.
1 ივნისი ბავშვთა დაცვის მსოფლიო საერთაშორისო დღე ტრადიციულად პატარების ჩართულობით მოეწყო.
16 ივნისს აღინიშნა ოტია იოსელიანის დაბადებიდან 96 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად, მწერლის ხსოვნას პატივი მიაგო ადგილობრივმა თვითმმართველობამ.
1 აგვისტოს გულითადად მივულოცეთ 85 წლის იუბილე გაზეთ „ახალი

წყალტუბოს“

2 აგვისტოს ვუმასპინძლეთ ფოლკლორის IX-ე საერთაშორისო ფესტივალს „ლეგენდების ქვეყანას“

2 აგვისტო ტრადიციული „ელიობის“ დღესასწაული აღინიშნა სოფელ მაღლაკში.

8 აგვისტო უმძიმესი დღეა ჩვენი ერისათვის. 18 წელი გავიდა ომის დასრულებიდან. წყალტუბოს მუნიციპალიტეტიდან 4 ვაჟკაცი დაიღუპა:

1. მამუკა სამაკაშვილი
2. რომან უგრეხელიძე
3. მამია ფანცულაია
4.ფილიპე(ლერი)მგალობლიშვილი

34 წელი გავიდა აფხაზეთში განვითარებული ტრაგიკული მოვლენებიდან. პატივი მივაგეთ საქართველოს მთლიანობისათვის დაღუპული გმირების ხსოვნას. გაიმართა აფხაზეთის ომის შესახებ დოკუმენტური ფილმის ჩვენება.

გაიმართა საერთაშორისო ფესტივალი „თეატრალური იმერეთი 2026

პატივი მივაგეთ საქართველოს მთლიანობისათვის დაღუპული გმირების ხსოვნას. გაიმართა აფხაზეთის ომის შესახებ დოკუმენტური ფილმის ჩვენება.

საკონცერტო დარბაზ ,,ივერიის“ სცენაზე, ვიტალი(იმერელი) სამხარაძესთან ერთად, მაყურებლის წინაშე წარსდგა ფინეთში მოღვაწე საერთაშორისო

მუსიკოსი მარიან პეტრესკუ(ფორტეპიანო). შესრულდა ცნობილი ჯაზ-კომპოზიციები.

ცენტრალურ პარკში სრულიად საქართველოს კათალიკოს - პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის სახელობის სკვერი გაიხსნა და

მემორიალური ქვა დაიდგა. გახსნის ცერემონიას საქართველოს

პარლამენტის წევრი, სამტრედიის, წყალტუბოს, ვანისა და ხონის დელეგატი გივი ჭიჭინაძე, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ლევან ზალკალიანი, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გრიგოლ დალაქიშვილი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილი ესწრებოდნენ.

სერგეი მესხის დაბადებიდან 181 წლისთავი ავღნიშნეთ.

27 ოქტომბერი მასწავლებლის ეროვნული დღეა.

## ჯანსაღი ცხოვრება - სპორტი

წყალტუბოელ სპორტსმენებს მსოფლიო ჩემპიონატზე მიღწეული წარმატებისათვის, მწვრთნელებს სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის მადლობის სიგელები გადავეცათ.

წყალტუბოს სპორტის სასახლეში სტარტი აიღო საქართველოს 17 წლამდე ძალოსანთა ჩემპიონატმა, რომელშიც ქვეყნის 16 რეგიონიდან 100 სპორტსმენი ასპარეზობდა.

ჩემპიონატის ოფიციალურად გახსნის ცერემონიას საქართველოს პარლამენტის წევრი, ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს შვიდგზის და ევროპის შვიდგზის ჩემპიონი ლაშა ტალახაძე ესწრებოდა, წყალტუბოელმა სპორტსმენებმა საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებას მიაღწიეს!

ლუკა ომანაძემ - ახალგაზრდულ ევროპის ჩემპიონატზე ძიუდოში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

სალომე კუჭავამ - 15 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ძალოსნობაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

საბა გველესიანი - ევროპის თასზე ძიუდოში ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

ვულოცავ ახალგაზრდა სპორტსმენებს ამ მნიშვნელოვან სპორტულ წარმატებას და ვუსურვებ წინსვლასა და კიდევ არაერთ გამარჯვებას საერთაშორისო ტურნირებზე!

# „შემოდგომის წყალტუბო 2026“

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სახალხო დღესასწაული „შემოდგომის წყალტუბო 2026“ მეცამეტედ გაიმართა. ღონისძიებებს საკრებულოს წევრები,ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები, დამეგობრებული ქალაქების დელეგაციები: შილუტესი (ლიეტუვა) და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული სტუმრები ესწრებოდნენ. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ ქალაქ უნგენის მერიის, მდგრადი განვითარების რეგიონული ცენტრის (მოლდოვა), ორგანიზაცია „ტექნოპოლ გალაცის“ (რუმინეთი) და რიზეს მუნიციპალიტეტის (თურქეთი) წარმომადგენლები. საზეიმო ვითარებაში, ახალსახლობა მივულოცეთ სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიანი ოჯახების წარმომადგენლებს, რომლებსაც წელს 5 ახალი სახლი უნდა ავუშენოთ.

ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა ფოლკლორული თეატრალიზებული სანახაობები. მოეწყო საგამოფენო სივრცეები და ეთნოგრაფიული კუთხეები.

გაიმართა სხვადასხვა შემეცნებითი, კულტურული და სპორტული ღონისძიებები, დაიწურა ყურძენი, იმერულ ფაცხებში წარმოდგენილი იქნა სოფლის ნობათი და ტკბილეული.

„შემოდგომის წყალტუბოს“ დღესასწაულზე ტრადიციულად, დასახელდნენ წყალტუბოს საპატიო მოქალაქეები: საპატიო წყალტუბოელის წოდება მიენიჭა სახელმწიფო მინისტრის აპარატის შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს - ზვიად ზვიადაძეს, დამსახურებულ ექიმს - სიმონ კუჭავას და თვითმმართველობის ღვაწლმოსილ წარმომადგენელს - მურად ზაქარიაძეს.

სახალხო დღესასწაულზე დაჯილდოვებული იქნა ქალაქის 3 საპატიო მოქალაქე.

„შემოდგომის წყალტუბო 2026“ გალა კონცერტით დასრულდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: წყალტუბოს კულტურის ცენტრთან არსებულმა ანსამბლმა ნადურმა, მომღერალი ნატო გელაშვილი და ჯგუფი „ჭოხოები“.

## დამეგობრებული ქალაქები - „Friendly Cities“

წყალტუბოს მუნიციპალიტეტს ყავს დამეგობრებული ქალაქები.

1. ქ.ტრუსკავეცი (უკრაინა) – 2001წ.
2. ქ. პოლოცკი (ბელარუსის რესპუბლიკა) – 2015წ.
3. ქ. კირიათ-იამი (ისრაელი) – 2016წ.
4. ქ. სალდუსი (ლატვია) – 2016წ.
5. ქ. სენტგოტჰარდი (უნგრეთი) – 2018წ.
6. ქ.უნგენი (მოლდოვა) – 2021წ.
7. ქ.შილუტე (ლიეტუვა) – 2022წ.
8. ქ.ვანაძორი(სომხეთი) – 2022წ.
9. ქ. უნიეიოვი (პოლონეთი) –
10. ქ.სალსომაჯორე-ტერმე (იტალია)–2023წ.

2026 წელს წყალტუბოში „შემოდგომა წყალტუბო 2026“ მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა ქალაქ შილუტესის (ლიეტუვა) წარმომადგენლები.

“დამეგობრებული ქალაქების“ წარმომადგენლებმა შეხვედრაზე მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი გამოთქვეს.

## გარემოს დაცვა და დასუფთავება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად უერთდება გაეროს გარემოსდაცვით პროგრამას „დავასუფთავოთ მსოფლიო“. კამპანია მიზნად ისახავს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას და გარემოსდაცვითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით,გაიმართა დასუფთავების აქცია.

2000-ზე მეტი იშვიათი ჯიშის მარადმწვანე მცენარე ქალაქის ტერიტორიაზე უკვე დაირგო.

2026 წელს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით ნარგავების დარგვის აქცია „ჩემი პირველი ნერგი“, მუნიციპალიტეტში 370-ე სხვადასხვა ჯიშის ხე დაირგო: კოლხური მუხა, ჰიმალაის კიპაროსი და კედარი, ნეკერჩხალი, ცაცხვი, ვერხვი, კოლხური ბზა.

ბიზნეს სექტორის წარმომადგენელთა აქტიური ჩართულობით და კეთილი ნებით ქალაქში არაერთი ახალი ჯიშის ხე-მცენარე დავრგეთ.